№1802 2015 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ) პირველ სართულზე არსებული წინასწარ განსაზღვრული ფართი (საერთო ფართი: 4მ^2) ბანკომატის, სწრაფი გადახდის, სავაჭრო და ყავის აპარატების განთავსების მიზნით (1 ერთეული ბანკომატი - 1მ^2 ფართობი, 1 ერთეული სწრაფი გადახდის აპარატი - 1მ^2 ფართობი, 1 ერთეული სავაჭრო აპარატი - 1მ^2 ფართობი, 1 ერთეული ყავის აპარატი - 1მ^2 ფართობი), 2016 წლის 31 დეკემბრამდე, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გადასცეს შესაბამის პირებს.

2. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**